

ორი პურით მასპინძლობა

მას გამოვეყარე. მიველ ერთსა წყაროზე. ორნი კაცნი წყალსა სმიდენ. რა მნახეს, ჩემი ნახვა იამათ. დასხდენ ჭამად. ორის პურის მეტი არა ჰქონდათ რა. მეც დამსვეს. ერთი პური ერთმან დაიდვა და მეორე მეორემან. მე არა მქონდა. ნახევარი ერთმან მომიტეხა და ნახევარი მეორემან.

ჩემი თურე მეტი შეიქმნა. რა შევჭამეთ, მათ არა ეყო. გამირისხდენ: გვაცდუნაო! ერთი პური ორთავ ვჭამეთ და ერთი მარტო ამან შეჭამაო.

ორნი ერთს როგორ არ მომერეოდენ! შემიპყრეს, დამაბეს, ორთავ ას-ასი არგანი მკრეს. ჩემი მშველელი კაცი ვინ გამოჩნდებოდა! ხან ვედრებას ვეტყოდი, ხან სხვასა, მაგრა არ გამიკითხეს.

მე ვუთხარ: ვისცა ეწვივნეთ, მასცა თქვენთვის ასრე აქმნევინოს-მეთქი!

დამაგდეს მუნ დაბმული და სწრაფით წავიდნენ.

მოვიდა ვინმე კაცი ერთი მოწყალე; მკითხა ჩემი ამბავი. მე ყოველივე მოვახსენე. მან მითხრა: ძმაო, ხუთ სწავლას გამცნებ და დაიმარხო:

უმეცარს კაცსა გულით ნუ მიენდობი;

შეუმცნებელს უსუსურად ნუ ეჩვენები;

ყოველ ჟამ ფრთხილად იყავ, შენი სახლიც იყოს;

მშიერს სტუმრად ნუ ეწვევი;

გლახაკისაგან ჩუქება ნუ გინდა!

მე დიდად დავუმაღლე. ამხსნა და ესრე მითხრა: მათ კაცთა ბევრი სხვა მოუცდუნებიათო.

საგზალი მომცა და თვით წავიდა. მე რადღა დავდგებოდი?!
=